ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1339571

ნომერი: AR1222127

თარიღი : 16.06.2014

გაცემის თარიღი : 23.06.2014

გაცნობის თარიღი : 10.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , 1.6კმ -ზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი რეხვიაშვილი პ/ნ 60001015001
- თბილისი, ფოსტის 6/7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის (N 11/1) შენობის დემონტაჟის მის ნაცვლად I კლასის შენობის მშენებლობის, N 3/1, N9/1 და N 16/1 შენობების ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების და სარეკლამო ბანერის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 1.6კმ–ზე, შპს „ტირიფი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე I კლასის (N 11/1) შენობის დემონტაჟს მის ნაცვლად I კლასის შენობის მშენებლობას, N 3/1, N9/1 და N 16/1 შენობების ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას და სარეკლამო ბანერის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 14 მაისს გაცემულ №1267054 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „ტირიფი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.01.016.057, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014210555, 29/04/2014წ., ასევე წარმოდგენილი შპს „ტირიფი“–ს მინდობილობა, სს "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს თანხმობა, არსებული სიტუაციის ფოტომასალა და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 1.6კმ–ზე, შპს „ტირიფი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე I კლასის (N 11/1) შენობის დემონტაჟს მის ნაცვლად I კლასის შენობის მშენებლობას, N 3/1, N9/1 და N 16/1 შენობების ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას და სარეკლამო ბანერის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 14 მაისს გაცემულ №1267054 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სარეკლამო კონსტრუქციის კონსტრუქციული მდგრადობა.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას/დემონტაჟისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

•სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge